# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

„ЛЕЛО" ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

17 იანვარი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 11 (10 180) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




ხათუნა ქვრივიშვილი.



ვლადიმერ სვანაძე.

## ფინალში გამოვლენ

**მოსწავლეთა** არდადეგების პერიოდში თბილისის საქალაქო განათლების სამმართველოს ხელბურთის სპეციალიზირებული სკოლის აღსაზრდელები (დირექტორი ს. დოლიძე) ლენინგრადში ასპარეზობდნენ სსრ კავშირის პირველობის ზონალურ ტურნირზე. მათ დაამარცხეს მოსკოვის (26:24), რსფსრ-ს (25:22), ყირგიზეთისა (28:19) და ალმა-ათის (26:18) გუნდები და მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმეს (ლენინგრადის გუნდთან — 19:21).

ჩვენმა ნორჩმა ხელბურთელებმა მოიპოვეს ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება.

### ინფორმაცია

**მელბურნი.** ავსტრალიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ყოველი გამარჯვება დაძაბული და შეუპოვარი ბრძოლის ფასად მოდის. აი ახლაც, ვინ იფიქრებდა, რომ ორ საერთაშორისო ტურნირში ზედიზედ გამარჯვებულ ნატალია ზვერევას გაუჭირდებოდა სასტარტო შეხვედრის მოგება, თანაც საერთაშორისო ჩოგბურთში ნაკლებადცნობილ ფრანგ ნატალი ჰერემანთან. პირველი პარტია საბჭოთა კავშირის № 1-მა ჩოგბურთელმა წააგო ანგარიშით 6:7. მეორე პარტიაში მეტოქემ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია და დათმო მხოლოდ 5:7. ასევე დაძაბულ ხასიათს ატარებდა მესამე გადამწყვეტი ხელი, რომელიც ზვერევამ მოიგო ანგარიშით 7:5.

საბჭოთა ვაჟთა გუნდის ლიდერმა ანდრეი ჩესნოკოვმაც დიდი გაჭირვებით გაიკვლია გზა მეორე ტურში. ავსტრალიელი მარკ კრატცმანი „კერკეტი კაკალი" გამოდგა. მან მხოლოდ ხუთ პარტიაში დათმო ბრძოლა — 3:6, 6:7, 7:6, 6:3, 6:2.

საქართველოს ჩემპიონატი მშვილდოსნობაში

# მცირერიცხოვანი, მაგრამ ძლიერი...

თუ რა პირობებში უხდებათ ჩვენს მშვილდოსნებს ვარჯიში, „ლელოს" მკითხველებისთვის უცნობი არ უნდა იყოს — რამდენჯერმე წამოვიწყეთ ლაპარაკი ამ საჭირბოროტო პრობლემაზე. მდგომარეობა ასე უცებ, ცხადია, არ შეიცვლებოდა. ამიტომ არ გაგიკვირდეთ, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის (ზამთრის) მონაწილეებს ამ მხრივ არ უჭირდათ. საქმე ისაა, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა, როგორც ყოველთვის, „სხვისი" ბაზა — სპორტსახკომის მძლეოსნობის მანეჟი დაიქირავეს.

დიდ, ნათელ დარბაზში ასპარეზობა სახალისო საქმეა, მით უმეტეს, რომ სხვა დანარჩენიც, რაც ჩემპიონატის სახეს განსაზღვრავდა, „თავის ადგილზე" იყო: მედლები, თასები, დროული ინფორმაცია, ესთეტიური თვალსაზრისით საკმაოდ კარგად გაფორმებული დიპლომები... ის სამფეროვანი დროშაც, რომლის დანახვაც გვიხარია, არაოფიციალური (საინტერესოა, როდის გახდება ოფიციალური?) ატრიბუტი იყო შეჯიბრებისა. არც მსაჯობაში მომხდარა რამე კურიოზი და უსიამოვნო შემთხვევა — საკავშირო კატეგორიის მსაჯი გივი დავითაშვილი და სხვებიც კვლავ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ...

კიდევ ვიმეორებთ, ყველაფერი ეს სპორტული ღონისძიების გარე, სასურველი სახეა, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ასპარეზობას, საქართველოს ჩემპიონატს თუ ვუწოდებთ. ცალკე საკითხია ასპარეზობის დონე...

როგორც საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა გვითხრეს, პირველი შეჯიბრების პირობაზე ჩემპიონატის მონაწილეების მიმართ სამდურავი არ გვეთქმის. „მართვეს" გოგონათა გუნდმა, რომლის წევრთა ვინაობაც ახლა ბევრმა სპორტის მოყვარულმა იცის, რესპუბლიკის ქალთა უმაღლესი მიღწევაც კი დაამყარა. თბილისელმა მშვილდოსნებმა — ხათუნა ქვრივიშვილმა, ნატო ნასარიძემ და სულიკო თოფურიამ ე. წ. „ფიტა-ს დიდი წრის" ფინალში 935 ქულა მოაგროვეს...

მშვილდოსნობის მასობრიობაზე ლაპარაკი დღევანდელ პირობებში ცოტა სასაცილოც კი. ახალგაზრდობის ინტერესი კი არა, რესპუბლიკის შესაძლებლობა არ იძლევა ამის საშუალებას. „ბაზებს რომ თავი დავანებოთ, მშვილდ-ისარსაც კი განსაზღვრული რაოდენობით ვიღებთ", — გვითხრა სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ლაშა მჟავანაძემ. ისიც გვინდა ვთქვათ, რომ კარგ იარაღს მხოლოდ ვალუტით თუ შეიძენ. ასეთ პირობებში ერთადერთი გამოსავალი ეფექტური მუშაობა და მცირერიცხოვანი, მაგრამ ძლიერი გუნდის შექმნაა.

ძალზე სასიხარულოა, რომ ჩვენმა მწვრთნელებმა ნაწილობრივ მაინც გადაჭრეს ამოცანა. კიდევ შე-

იხ. მე-3 გვ.



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## მორიგი მატჩი

**გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი.**

**რიგა.** პირველი შეხვედრა ადგილობრივმა ვეფ-მა ლენინგრადის „სპარტაკთან", როგორც ვიუწყებოდით, 5 ქულით მოიგო — 77:72. განმეორებით ორთაბრძოლაში მასპინძლების უპირატესობა კიდევ უფრო დამაჯერებელი იყო. ვეფ-მა სატურნირო ცხრილში მეთხუთმეტე გამარჯვება ჩაიწერა — 83:70 (36:39).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 16 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 25 | 21 | 4 | 46 |
| ვეფ (რიგა) | 26 | 15 | 11 | 41 |
| „ბუდიველნ." (კ.) | 24 | 15 | 9 | 39 |
| სკა (ალმა-ათა) | 22 | 15 | 7 | 37 |
| „დინამო" (მ.) | 22 | 15 | 7 | 37 |
| „ჟალგირ." (კაუნ.) | 25 | 12 | 13 | 37 |
| რტი (მინსკი) | 26 | 11 | 15 | 37 |
| „კალევი" (ტალ.) | 23 | 13 | 10 | 36 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 25 | 9 | 16 | 34 |
| „დინამო" (თბ.) | 23 | 9 | 14 | 32 |
| „შახტიორი" (დონ.) | 22 | 7 | 15 | 29 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 24 | 2 | 22 | 26 |

### წოდების მინიჭება

**საბჭოთა** კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**რადიოსპორტში** — ომარ სადუკოვს (თბილისი, დოსააფი)

**ავტომოდელურ სპორტში** — ანდრეი გალუსტიანს (თბილისი, დოსააფი).

სსრ კავშირის პირველობა ფრენბურთში ● I ლიგა

# წინ კვლავ ძნელი მატჩებია

**სპორტის** ბევრ სახეობას დაუკარგავს სანახაობრივი მიმზიდველობა სარბიელის შეუსაბამობის გამო. ამჯერადაც ასე მოხდა, როდესაც თბილისში, სახალხო განათლების სამმართველოს ოქტომბრის რაიონის კომპლექსური სპორტსკოლის ბაზა მასპინძლობდა სსრ კავშირის პირველობის მატჩებს ფრენბურთში პირველი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის. არა, თვითონ სპორტსკოლის მიმართ საყვედური არ გვეთქმის, იგი თავის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ასეთი რანგის ტურნირის ჩატარება მის დარბაზში მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ამით ვინ დაზარალდა? პირველ ყოვლისა, ცხადია, თვით ფრენბურთი და აგრეთვე მაყურებელი. თბილისში გვაქვს დარბაზები, სადაც ასეთი და უფრო მაღალი რანგის ტურნირების ჩატარება შეიძლება. უნდა ჩატარდეს კიდეც, რათა მაყურებელი დაუბრუნდეს ფრენბურთსა და სპორტის სხვა ზოგიერთ სახეობას.

აი, რა გვითხრა თბილისელთა გუნდის „მშენებლის" მთავარმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვაჟა კაჭარავამ:

— თითქმის ექვსი წელია ჩვენს მაყურებელს არ უნახავს თავისი გუნდის გამოსვლა თბილისში. ამ დარბაზში სსრ კავშირის ჩემპიონატის ტურის ჩატარების შესაძლებლობა ბევრს გვაეჭვებდა და მთავარი მსაჯის გადაწყვეტილება რომ არა, შეიძლება ტური არც ჩატარებულიყო. ყველაფერი ამის მიზეზი ალბათ უსულგულო დამოკიდებულებაა სპორტის ამ სახეობის მიმართ...

რაც შეეხება ტურნირს, იგი ერთობ სენსაციური შედეგებით აღინიშნა, თან პირველსავე დღეს: სოჭის დინამოელებმა, რომელთაც სპეციალისტები არ მიიჩნევდნენ ფავორიტებად, როსტოვის არმიელთა ძლიერი გუნდი (უმაღლეს ლიგაში გადასვლს ერთ-ერთი კანდიდატია) საკმაოდ იოლად დაამარცხეს — 3:0, შემდეგ კი სძლიეს ტალინის „კალევს" — 3:2. მომდევნო შეხვედრაში ისევ დინამოელებმა იმარჯვეს 3:2. შეხვედრების ბოლო დღეს კი სოჭელები დამარცხდნენ როსტოვის არმიელებთან 1:3.

რაღა თქმა უნდა ჩვენ ყველაზე უფრო ჩვენი გუნდის გამოსვლა გვაინტერესებდა. პირველი შეხვედრა ქართველმა ფრენბურთელებმა დათმეს როსტოვის ასკ-ს გუნდთან 1:3, მომდევნო ორთაბრძოლა ტალინის გუნდთან მეტად დაძაბული იყო, გამარჯვებულის ვინაობა მეხუთე პარტიაში გაირკვა, „მშენებელმა" გაიმარჯვა — 3:2. განმეორებით შეხვედრაში თბილისელები, სამწუხაროდ, კვლავ დამარცხდნენ როსტოველ ფრენბურთელებთან — 0:3. სამაგიეროდ, ტურნირის ბოლო შეხვედრა „კალევთან" უფრო ლაღად, თავისუფლად ჩაატარეს და ადვილად სძლიეს მოწინააღმდეგეს — 3:0.

როსტოველთა და სოჭელთა გუნდების მწვრთნელებმა ერთხმად აღნიშნეს ჩვენი გუნდის სიძლიერე, როსტოველთა მწვრთნელმა ისიც თქვა, პოტენციურად თქვენს ფრენბურთელებს სსრ კავშირის ბევრი ძლიერი გუნდის დამარცხება შეუძლიაო. სასიამოვნოა კარგის მოსმენა შენს გუნდზე, მაგრამ ყველაზე საინტერესო, ალბათ, მაინც ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელის ვ. კაჭარავას აზრი გახლდათ:

— როგორც უკვე ვთქვი, ექვსი წელია თბილისში არ გვითამაშია. ამის გამო ჩვენს ფრენბურთელებს გაუჭირდათ ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა, დიდი სურვილი ჰქონდათ კარგი თამაში ეჩვენებინათ, მაგრამ მოედანზე ისინი, ასე ვთქვათ, უფრო შრომობდნენ, ვიდრე თამაშობდნენ. ამაში კი საკმაოდ დიდი სხვაობაა. თანაც ჩვენ აქ ვეთამაშებოდით ძირითად კონკურენტებს — როსტოვის არმიელებს. ძალიან ძლიერად თამაშობს აგრეთვე ტალინის „კალევი", რომელიც არც თუ დიდი ხნის წინათ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა. ასე რომ, სუსტი მეტოქეები არ გვყავდა. მომავალშიც არ გვაქვს იოლი თამაშები, ამჯერად ვილნიუსში მოგვიწევს მატჩების ჩატარება...

ჯერჯერობით ჩვენთვის არ არის ცნობილი გორომილოვგრადისა და ლენინგრადის ტურების შედეგები, ამიტომ გათამაშების ცხრილს ვერ შემოგთავაზებთ.

გია ჭ[illegible]ლი.







სურათებზე: ასპარეზობის ფრაგმენტები.

სურენ ვართანესოვის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მთა

### ანუ პრობლემები, რომლებიც არასოდეს გამოსწორებულა

**მიგრაციას** ყველაზე მეტად სვანეთმა გაუძლო. 1987 წლის სტიქიური უბედურება რომ არ გამხდარიყო მიზეზი მისი გასაჭირის გამჟღავნებისა, სვანეთიც თვალსა და ხელს შუა გაქრებოდა. სტიქიამ ყველა სუსტი ადგილი გამოაჩინა. ერთბაშად 5 ათასი ადამიანის ბარად ჩამოყვანამ ძალზე გაამეჩხერა მესტიის რაიონი, მაგრამ ეს გეგმაზომიერ განტვირთვად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან აქ მოხუცებიც და ბავშვებიც აწონასწორებენ დემოგრაფიას. ახლა მთავარია სხვაგან მცხოვრები და მომუშავე ახალგაზრდობა დავაბრუნოთ, ნაწილი — თავის მიწაზე, ნაწილი — იმ რაიონებში, სადაც გეგმიური დასახლებაა.

ამისათვის უნდა შეიქმნას ხალხის დამაგრების პირობები. ოცი და ოცდაათი წლის წინაც იმას ვჩიოდით და ვწერდით, რაც დღესაც აწუხებს მესტიის რაიონს. იგივე აწუხებს ლენტეხს, საქართველოს მთის ყველა რეგიონს: კულტურული, მატერიალური და სოციალური სფეროების უკიდურესი ჩამორჩენა; უფრო მეტიც, რაც ადრე არსებობდა, იმასაც მთლიანად მოსპობა და გაქრობა ელის.

ამ წერილში მესტიის რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობაზე გავამახვილებთ ყურადღებას. ვთქვათ ის, რაც მოსახლეობას აწუხებს, აფიქრებს, აღელვებს.

მესტიასა და, საერთოდ, სვანეთში რომ სპორტი ძალზე უყვართ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. აქ აიდგეს ფეხი და დაოსტატდნენ ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდების წევრები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, ჩვენი ქვეყნისა და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონები და პრიზიორები: მოჭიდავეები, მოკრივეები, მეკლდეურები, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წამყვანი სამთო-მოთხილამურეები. შედეგები გაცილებით თვალსაჩინო იქნებოდა, მესტიაში რომ მინიმუმი მაინც კეთდებოდეს იმისა, რაც შესაძლებელია. აქ ბევრი საქმე წამოიწყეს, მაგრამ ბოლომდე არაფერი მიუყვანიათ.

ჯერ კიდევ 50-იან წლებში შემოიტანეს პირველი საბუქსირო 500-მეტრიანი ჩეხური საბაგირო გზა მოთხილამურეებისთვის. გაიჩეხა ტყე, დამონტაჟდა გზა, დაიხარჯა დიდძალი თანხა, მაგრამ საბაგირო გზას ერთ დღესაც არ უმუშავია.

60-იან წლებში შემოიზიდა სათხილამურო ტრამპლინისთვის ასევე ვალუტით შეძენილი ძვირადღირებული უცხოური ხელოვნური საფარი, მაგრამ იგი 15 წელზე მეტხანს ნესტიან სარდაფებში ეწყო. როცა ტრამპლინის დამონტაჟების თანხმობას მიაღწიეს, აღმოჩნდა, რომ პლასტმასის ხელოვნური საფარი უვარგისია.

70-იანი წლების დასაწყისში შემოიზიდა კიდევ ერთი ძვირადღირებული საბუქსირო საბაგირო გზა, რომელიც 13 წლის მანძილზე ღია ცისქვეშ იყანგებოდა. 1982 წელს დაიწყო ამ გზის და მასთან ერთად კიდევ მეორე სავარძლიანი გზის მშენებლობა. მეშვიდე შემოდგომა გავიდა მშენებლობის დაწყებიდან. საქართველოს სპეცტრანსის რესპუბლიკური სამმართველო სამი წელია ყოველ შემოდგომას აპირებს გზების საექსპლოატაციოდ გადაცემას. გამოცდაც მოეწყო, მომსახურე პერსონალიც დაინიშნა, მაგრამ გზა მაინც არ მუშაობს. ვერ მოხერხდა მისი ოფიციალურად გადაცემა.

ჰაწვალის უმშვენიერეს მთაზე, სადაც ეს გზები გადის, სამთო-სათხილამურო ბაზის მშენებლობაა დაპროექტებული. მისი აშენება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 13 აგვისტოს მესტიის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ცნობილი დადგენილებით იყო გათვალისწინებული. 1977 წელს, როცა მესტიაში ჯვარი-მესტიის გზის რეკონსტრუქციისა და სატელევიზიო სარელეო ხაზის მშენებლობების დამთავრების აღსანიშნავი ზეიმი ჩატარდა, კულტურის სახლისა და სათხილამურო ბაზის პროექტებიც იყო გამოფენილი, მაგრამ დღეს მათი მშენებლობის დაწყებაზე ოცნებაც კი არ შეიძლება. უფრო მეტიც — მესტიის ცენტრთან ახლოს 200-მეტრიანი მცირე საბუქსირო გზა მუშაობდა, წლების განმავლობაში აქ იზრდებოდნენ სამთო-მოთხილამურეები, მაგრამ ახლა არც ეს გზა მუშაობს. დაუდევრობის გამო სადღაც გაქრა ელექტროძრავა. მესტიის სპორტკომიტეტი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, მისი სპორტსკოლა, განათლების განყოფილება, რომლის ბალანსზეც ეს გზა ირიცხება, და მისი სპორტსკოლა, რაღაცას ელოდებიან. ის ვერ მოუხერხებიათ, რომ ზუგდიდიდან ამოიტანონ ერთი ხუთკილოვატიანი ძრავა, რომელიც, ალბათ, 50-დან 80 მანეთამდე თუ დაჯდება.

ამგვარი უძრაობისაგანაა რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სპორტული სკოლების სპორტდარბაზები უმოქმედოდ, მათ შორის ცენტრალური სპორტდარბაზი, რომლის გათბობაზე ექვს გამოვთქვამდით „ლელოს“ შარშანდელი ნოემბრის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ წერილშიც.

აქ არა თუ გათბობა, ცივი წყლით მომარაგებაც კი სანატრელი გახდომიათ. ამგვარი უძრაობის ბრალია, რომ ორი ტრამპლინიდან არც ერთი არ მუშაობს. სპორტკომიტეტს, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რაისაბჭოს, განათლების განყოფილებას, სპორტული სკოლების მესვეურებს ერთმანეთთან არავითარი კონტაქტი არა აქვთ. უფრო მეტიც — განათლების განყოფილების 32-ჯგუფიან კომპლექსურ სპორტულ სკოლას, როგორც ეს დებულებითაა გათვალისწინებული, არა აქვს იურიდიული სტატუსი, საკუთარი საბანკო ანგარიში. სკოლა შეხიზნულია პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტდარბაზში. მიუხედავად იმისა, რომ ამას დებულება ითვალისწინებს, არც განათლების განყოფილება და არც სპორტული სკოლა იჯარას არ იხდის.

ასეთ დღეში რაიონის კიდევ ხუთი სპორტსკოლაა. გათბობის სისტემები არც მათ სპორტდარბაზში მოქმედებს. მესტიელი ბავშვები ინვენტარითაც არ არიან განებივრებულნი, აკლიათ თხილამურები, სამაგრები და სპეციალური ფეხსაცმელი.

სინამდვილეს ვერსად გაექცევი. სვანეთს წუწუნი და ჩივილი არ სჩვევია, მაგრამ ახლა ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ უთქმელობა ღალატია. საქართველოს მთის ამ უნიკალურ კუთხეს დაცარიელება ემუქრება. ისე, როგორც აგორებულ ქვას ვერაფერი შეაჩერებს, დაწყებულ მიგრაციასაც ვერ შევაჩერებთ თუ ახალგაზრდობას არ შევქმნა სათანადო პირობები, მათ შორის სპორტში სამეცადინოც.

პარტიული და საბჭოთა ორგანოებიც, კომკავშირიც, კულტურისა და განათლების განყოფილებებიც ვალში არიან მესტიის რაიონის მშრომელთა წინაშე, მათი შვილების წინაშე.

ნულარ ჩავიდენთ გამოუსწორებელ დანაშაულს, ახლა უნდა სვანეთს მთელი საქართველოს [illegible]ედვა და გვერდში დგომა.

**პირიბე გვარლიანი,**
ჩვენი საკ. კორ.

მესტია.



უშგული. ავთანდილ გურასაშვილის ფოტო.

# სპორტული ორიენტირება და ეროვნული ლაშქარი

**დღეს** ყველა ერთ საფიქრალს შეუპყრია — როგორ, რა გზით, რა საშუალებებით მივაღწიოთ ერისათვის სასიცოცხლო და აუცილებელ თავისუფლებას. რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამის მისაღწევად დღეს და რას უნდა მოველოდეთ ხვალ?

ამ შემოდგომაზე გულგრილს არავის ტოვებდა საკავშირო ჯარის ნაწილებში გაწვეული ქართველი ბიჭების პროტესტი (უარი) და მოთხოვნა — სავალდებულო სამსახური მოეხადათ საქართველოში. მთავრობის გადაწყვეტილებამაც არ დაიგვიანა და ბიჭებს დაჰპირდნენ — თანდათან უფრო და უფრო მეტ ახალწვეულს დავტოვებთ სამშობლოში სამხედრო ვალდებულების მოსახდელადო. როგორც ვარაუ-



დობენ, ეს პროცესი უნდა დასრულდეს ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნით, ჯერჯერობით კი მე[illegible] არაფრის გაკეთება ოფიციალურად თურმე არ შეიძლება...

ჩვე[illegible]ით, ეროვნული ლაშქრის [illegible]ვეც უნდა ვიზრუნოთ მის [illegible]ელყოფაზე. ამისათვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სპორტის იმ სახეობის განვითარება გახლავთ, რომელიც სპორტული ორიენტირების სახელით არის ცნობილი. ის, რასაც დღეს სპორტის სახეობას ვეძახით, ოდესღაც სწორედ სამხედრო ხელოვნება იყო და მისი ისტორია ძალზე ძველია. ამას განაპირობებდა ის თავისებურებანი, რაც სპორტის ამ სახეობაში დღესაც მნიშვნელოვანია. კერძოდ, სპორტული ორიენტირება არის ჩქაროსნული, ემოციური და ძალიან დაძაბული კროსი უცნობ ადგილმდებარეობაზე. მასში გაერთიანებულია ფიზიკური და „ეშმაკური“ ტაქტიკის ელემენტები: ამოცანის გადაწყვეტა სპორტსმენისაგან მოითხოვს ზუსტ და სწრაფ აზროვნებას, მის შინაგან თვისებებს, დასძლიოს ბუნებრივი წინააღმდეგობები.

დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ასეთი მზადება სპორტსმენს მზვერავის, ე. წ. დესანტის, მდგომარეობაში აყენებს.

თუმცა, გარდა სამხედრო დანიშნულებისა, სპორტული ორიენტირება წმინდა სპორტული თვალსაზრისითაც საინტერესოა. იგი მასობრივია, კონტაქტს ამყარებს ბუნებასთან, ქვეყნის ისტორიასთან; ავითარებს ადამიანში ზუსტი და სწრაფი აზროვნების უნარს, ამტანობას. სწორედ ამ ღირსებებით უნდა იყოს იგი სასარგებლო მოზარდებისათვის. მით უფრო, რომ შეჯიბრების ჩატარებას არ ჭირდება არც სპორტული მოედნები, არც სპორტული დარბაზები, ძვირადღირებული დანადგარები და ინვენტარი. საკმარისია მხოლოდ ტყის გარკვეული მონაკვეთი ან ქალაქის პარკი. შეჯიბრება შეიძლება ჩატარდეს დღისითაც და ღამითაც, ზამთარშიც და ზაფხულშიც, ფეხითაც და თხილამურებითაც, ნავებითა თუ ველოსიპედებით, მოტოციკლებითა და ავტომობილებით.

სპორტულ ორიენტირებაში ვარჯიში და შეჯიბრებები მუდამ ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში ტარდება, რაც ჯანმრთელობის საწინდარია: თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენში ყოველი გოჯი ისტორიით სუნთქავს, მაშინ ნათელი გახდება, რომ სპორტის ეს სახეობა მნიშვნელოვანია ქვეყნის წარსულისა და აწმყოს ალსაქმელად და შესაცნობად.

ჩემი წერილის მიზანი უბრალო იყო: გვეჩვენებინა სპორტული ორიენტირების სიკეთე სადღეისოდ და სახვალიოდ წმინდა სპორტული და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. მით უფრო, რომ იგი ჩვენში ახალგაზრდა სახეობაა, სულ რაღაც ორ ათეულ წელს ითვლის და სპორტის ამ სახეობაზე შეყვარებული სამი-ოთხი პიროვნების იმედითაა.

**გოჩა ჭიაკონიძე,**
სპორტული ორიენტირების მწვრთნელი.

# აპლოდისმენტების ნაცვლად... ნაფცქვენი

**არც** თუ ისე დიდი ხნის წინათ სიტყვა „კეტჩი“ ჩვენში შიშნარევ ცნობისმოყვარეობას იწვევდა. ეს, ცხადია, პროპაგანდის ბრალი იყო, თორემ საკუთარი თვალით კეტჩისტთა შერკინებები მაშინ, აბა, ვის ენახა. „უბედური“ კეტჩი ჩვენი პრესისთვის პირდაპირ შესანიშნავი საშუალება გახდა კაპიტალისტური ცხოვრების წესის გასაშავებლად. გარეგნულად ყველაფერი საამისოდ იყო: „რინგის გლადიატორთა“ მხეცური გამომეტყველება, უსახტიკესი ილეთები, დაღვრილი სისხლიც...

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ერთ-ერთ საბჭოთა გაზეთში გამომკრთალი ამერიკელი ჟურნალისტის ირონიული რეპლიკა, — ნუთუ თქვენი პრესის მუშაკები ვერ ხვდებიან რომ კეტჩი კარგად დადგმული სპექტაკლია, — უკვალოდ ჩაიკარგა საწინააღმდეგო მტკიცებათა ნიაღვარში.

არადა, ცამდე მართალი იყო ის ამერიკელი. კეტჩი, რეხლინგი, კარგად დადგმული, უაღრესად მწვავე და ცვალებადსიუჟეტიანი სპორტული სპექტაკლებია, სადაც არის „ბოროტი ძალა“, „შურისმაძიებელი“ და სხვა პერსონაჟები, ასე რომ, ნაცნობია ჩვენთვის თუნდაც ამერიკული ვესტერნებიდან. უმაღლესი კლასის კეტჩისტთა „მუშაობაც“ იმ ოსტატობის თანაბარია, რითაც გამოირჩევიან ამერიკულ ვესტერნში დასაქმებული კასკადიორები. კეტჩი — ეს ფაქტობრივად კასკადიორის ხელოვნებაა რინგზე. ამერიკელები დილეტანტიზმს ორგანულად ვერ იტანენ, ამიტომაც კეტჩი ზოგჯერ შიშის ზარს გვრის ხუსტნერვებიან მაყურებელს.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი მაყურებელი მაინც წამოეგება ხოლმე ანკესზე, თუნდაც მას წინასწარ განუმარტონ კეტჩის არსი... ამას წინათ „ლელოში“ დაიბეჭდა ჭიდაობის შესანიშნავი სპეციალისტის, პროფესორ ივანე ალიხანოვის მოგონება, თუ როგორ დადგა მან კეტჩისტთა შეხვედრა დაბა ლესელიძეში დამსვენებელთა წინაშე. მას დაეხმარნენ კუბელი ახალგაზრდები, რომლებიც ამერიკულ ჭიდაობაში გამოდიოდნენ, ვიდრე ფიდელ კასტრომ ბატისტას ხელისუფლება არ დაამხო კუბაში.

მიუხედავად იმისა, რომ ი. ალიხანოვმა მაყურებელს სამჯერ აუხსნა მოსალოდნელი შეხვედრების არსი, სანახაობით განცვიფრებული დამსვენებლები სამჯერ აცვივდნენ სცენაზე და კატეგორიულად მოითხოვეს შეეწყვიტათ ეს საშინელი ცემა-ტყეპა. მერე კი პირი შეკრეს და პარტიის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში უჩივლეს ალიხანოვს... „თავისუფლების კუნძულის ახალგაზრდების აბუჩად აგდებისათვის“.

აი, ასეთია კეტჩი! ალბათ დაახლოებით ასეთ სანახაობას ელოდნენ თბილისელი მაყურებლებიც, რომლებმაც პირთამდე შეავსეს სპორტის სასახლის ტრიბუნები ორიოდე დღის წინ ნამდვილი კეტჩისა და ამერიკული ჭიდაობის მოლოდინში.

მაგრამ რაც „მოსკონცერტმა“ შესთავაზა მათ, უსახური აჩრდილიც არ იყო კეტჩისა; სპორტის სასახლეში ალბათ პირველად გაიმართა ასეთი იაფფასიანი, უმდარესი გემოვნებით დადგმული, გულისამრევი სპორტული წარმოდგენა. ამიტომაც ტრიბუნაზე შიშნარევი, აღტაცებული კივილის ნაცვლად გაბმული სტვენა ისმოდა, ხოლო მონაწილენი აპლოდისმენტების მაგიერ მაყურებლებმა მანდარინის ნაფცქვენით დააჭილდოვეს. წარმოდგენა ვერ „გადაარჩინა“ უაღრესად შიშველად ჩაცმული ლამაზმანების „ცქრიალმა“. მოასპარეზეთა მოქმედება პირდაპირ სიყალბისა და პროვინციალობის ზეიმი იყო. კიდევ კარგი, გაბრიყვებული მაყურებლის აღშფოთება „მატერიალურ ძალად“ არ გადაიქცა...

ტელეტაიპი – მკითხველი

**ნიუ-იორკი**, გრძელდება ნხლ-ს ჰოკეისტთა ჩემპიონატი. ამ დღეებში „ბოსტონ ბრიუინზმა“ დაამარცხა „ჰართფორდ უეილერზი“ (4:1) და შეინარჩუნა ლიდერობა „ადამსის ქვეჯგუფში“. ბოსტონელებს 46 მატჩში 57 ქულა დაუგროვდათ. ეს შედეგი აბსოლუტურად საუკეთესოა ლიგაში. ქულით ნაკლები აქვს „სმითის ქვეჯგუფის“ ლიდერს „ედმონტონ ოილერზს“. „ნორისში“ კვლავ პირველ ადგილზეა „ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსი“, რომელმაც ბოლო შეხვედრა წააგო „ტორონტოსთან“ — 6:7.

ჩემპიონატი, როგორც ხედავთ, ჯერ არ დამთავრებულა, ჰოკეის მოყვარულნი კი მოუთმენლად ელიან სუპერფინალურ მატჩს ორი კონფერენციის გუნდებს შორის. ეს შეხვედრა (რიგით 41-ე) ჩატარდება 21 თებერვალს პიტსბურგში.

# მორიგი წარმატება

**როგორც** გაუწყეთ, მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში მოსკოვში, ცსკა-ს დახურულ საფეხბურთო მანეჟში ჩატარდა სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. გრინინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი.

ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების ათმა გუნდმა. მათ შორის თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის კოლექტივმა და სოხუმელმა ჭაბუკებმა.

თბილისელმა ფეხბურთელებმა წარმატებით ჩაატარეს ჯგუფური შეხვედრები, ფინალში შეხვდნენ ქ. სუმის (უკრაინის სსრ) გუნდს და იქაც გაიმარჯვეს — 2:0.

გუნდის მომზადებაში და საერთოდ მის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მწვრთნელს თ. ლორთქიფანიძეს, აგრეთვე მწვრთნელებსაც ი. სირაძეს, გ. ჭუმბურიძეს და ო. შენგელიას.

**ლევან ჯავახიშვილი.**



სურათზე: ა. გრინინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში გამარჯვებული 35-ე სკოლის გუნდი (მარცხნივ მწვრთნელი თ. ლორთქიფანიძე).

# „ბელანოვის საქმე“

უცხოეთის გაზეთები კვლავ დიდ ადგილს უთმობენ „ბელანოვის საქმეს“. სახუმარო აქ, მართლაც, არაფერია, საბჭოთა ფეხბურთელს იგორ ბელანოვს, რომელიც ახლა ქალაქ მიონხენგლადბახის (გფრ) „ბორუსიაში“ გამოდის, ბრალად ედება უნივერმაღიდან 2 ათასი მარკის ღირებულების ტანსაცმლის ქურდობა.

ი. ბელანოვმა თვითვე მოითხოვა თავისი კლუბის შტაბ-ბინაში პრესკონფერენციის მოწვევა, უცხო კორესპონდენტებთან ერთად კონფერენციას ესწრებოდა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ წარმომადგენელიც.

ი. ბელანოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ბრალდება მის მიმართ დაუსაბუთებელია, მთელი ეს ისტორია შეთითხნილი და ფრიად უსიამოვნოა, იგი დაპატიმრებული იყო, მთელი ღამე პოლიციის განყოფილებაში გაატარა, მას გასაღები გამოართვეს და უმისოდ მის ბინაში ჩხრეკა მოაწყეს.

„ბორუსიას“ კლუბის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ბელანოვის საქმე უნდა შეწყდეს, თუმცა, პოლიციამ მასალები უკვე გადასცა სასამართლოს...

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახლა იმყოფება კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივიც. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ განაცხადა, რომ მან ვერ შეძლო ი. ბელანოვთან ტელეფონით დაკავშირება, მაგრამ დარწმუნებულია ამ ფეხბურთელის წესიერებაში, იგი მრავალჯერ ნამყოფია უცხოეთში როგორც კიევის „დინამოს“, ისე სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და მსგავს ამბებში შემჩნეული არასოდეს ყოფილა.

მაგრამ, ამავე დროს, პოლიციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ხ. რაინერმა განაცხადა, რომ ი. ბელანოვს სპეციალურად თვალს ადევნებენ დეტექტივები, გარდა ამისა, ფეხბურთელის ბინაზე აღმოაჩინეს ქალის ტანსაცმლის უხმარი ნივთები, ბელანოვის მეუღლემ ირინე ბელანოვამ და მისმა მეგობრებმა აღიარეს დანაშაული, ხოლო თვით ფეხბურთელმა განაცხადა, რომ უარს ამბობს ჩვენებაზე და საკუთრივ მას არაფერი ჩაუდენია.

გაზეთში გამოაქვეყნა ინფორმაცია ჟურნალისტმა კ. ფურმანმა, რომელიც ასეთ კითხვას სვამს: „გაუგებარია, რატომ უნდა ექურდა იმ ფეხბურთელის მეუღლეს, რომელსაც წელიწადში 300.000 მარკა აქვს გასამრჯელო?“

სააგენტო დპა და გაზეთი „ველტი“ აღნიშნავენ: „ი. ბელანოვი უარყოფს ბრალდებას, მისი მეუღლე და ორი თანმხლები პირი კი „ნაწილობრივ“ აღიარებენ ყველაფერს“.

მთელი ეს ამბავი გასულ ხუთშაბათს მოხდა ქალაქ დიუსელდორფის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში, ი. ბელანოვმა განაცხადა, რომ მხოლოდ ელოდა მეუღლესა და ამხანაგებს, რომ მას სულაც არ ესაჭიროება ამგვარი ქურდობა, ვინაიდან სწორედ იმ [illegible] მარკა [illegible] ცენტრს. [illegible] მთელი ამ საქმით, თავის ცხოვრებაში კაპიკიც არ მოუპარავს და თუ დეტექტივები მალაზიაში იმყოფებოდნენ, მათ ისიც უნდა დაენახათ, რომ მას არ მოუპარავს არაფერი.

ი. ბელანოვის ადვოკატმა ვ. ჰიუსკესმა განაცხადა, რომ ბელანოვი „მეტისმეტად დაგეშილი“ დეტექტივების მსხვერპლი გახდა, რომლებიც ქურდების დაჭერის შემთხვევაში საგანგებო ჰონორარს ღებულობენ. გაზეთი „ველტი“, რომელმაც ადვოკატის სიტყვები გამოაქვეყნა, იტყობინება, რომ პოლიციის მიერ ფეხბურთელის ბინის ჩხრეკის დროს აღმოჩენილი ნივთები ექსპერტების გამოკვლევით კანონიერად ნაყიდია მაღაზიაში.

„ბორუსიის“ პრეზიდენტმა ბაიერმა განაცხადა: „კლუბის ხელმძღვანელობა ყველაფერში ენდობა ბელანოვს და ყოველნაირი საშუალებით დაიცავს მის სახელს“.

ერთი სიტყვით, „ბელანოვის საქმე“ ჯერ დაუმთავრებელია.

# ვ. გრანატკინის მემორიალზე

ლენინგრადში მიმდინარე ჭაბუკ ფეხბურთელთა ვ. გრანატკინის საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირზე ლიდერის პოზიცია განიმტკიცა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა, რომელმაც ანგარიშით 4:1 დაამარცხა ჩვენი ქვეყნის მეორე ნაკრები.

ჩინეთისა და ფინეთის გუნდების შეხვედრაში, რომელიც ჩინელებმა მოიგეს ანგარიშით 3:0, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირთა შორის დაწინაურდა ჩინელი ფეხბურთელი შენ ცაი, რომელმაც უკვე 5 ბურთი გაიტანა. ფრედ დაამთავრეს შეხვედრა გფრ-ისა და გდრ-ის გუნდებმა — 0:0.

# საერთაშორისო ტურნირებზე

**კარლსრუე.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამ ქალაქში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო“ და ადგილობრივი გუნდი, კიეველებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 6:2.

**ლიუცერნი.** შვეიცარიაში მიმდინარე მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში მოსკოვის სპარტაკელებმა შესარჩევი შეჯიბრების ბოლო მატჩში წააგეს ადგილობრივ ფეხბურთელებთან (2:6), მაგრამ 10 შესაძლებლიდან 7 ქულით თავიანთ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და მეოთხედფინალში კვლავ შეხვდებიან ლიუცერნის გუნდს.

# ფინანსური მაქინაციები

**ჰოლანდიის** ცნობილი საფეხბურთო კლუბის „აიაქსის“ ფეხბურთელები და მენეჯერები მკაცრი სასჯელის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. ისინი, თურმე, წლების მანძილზე ფინანსურ მაქინაციებს ეწეოდნენ და თავს არიდებდნენ სავალდებულო სახელმწიფო გადასახადს. როგორც ამსტერდამის პროკურორმა განაცხადა, ლაპარაკია, საკმაოდ დიდ თანხაზე, რამდენიმე მილიონ გულდენზე. გაზეთები იუწყებიან, რომ „აიაქსის“ ყოფილი მოთამაშე ს. ლერბი ვალდებულია ხაზინას დაუბრუნოს მილიონნახევარი გულდენი.

საქმეს განიხილავს სასამართლო და თუ დამნაშავეებს დაუმტკიცდათ ფინანსური მაქინაციები, მათ საპატიმრო და დიდი ფულადი ჯარიმა მოელით.

# მცირერიცხოვანი, მაგრამ ძლიერი...

(დასასრული)

გახსენებთ; 18 წლის ნატო ნასარიძე ქვეყნის პირველ ნაკრებში ირიცხება, ხოლო მასზე ცოტა უმცროსები სულიკო თოფურია და ხათუნა ქვრივიშვილი ამ გუნდის სარეზერვო წევრები არიან. მათი შემყურე ჩვენი სხვა ახალგაზრდა მშვილდოსნებიც აუმჯობესებენ შედეგებს. მაგალითად, ბათუმელმა ნანა ვერულიძემ („შევარდენი“) რესპუბლიკურ ჩემპიონატში ამ სამეულის ერთ-ერთი წევრის დამარცხებაც შეძლო და 316 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

საქართველოს ჩემპიონი გახდა თბილისის 132-ე სკოლის მეათეკლასელი ხათუნა ქვრივიშვილი, რომელმაც ფინალში 328 ქულა მოაგროვა. ხათუნას, ისევე, როგორც მის თანაგუნდელებს, ავარჯიშებს ახალგაზრდა სპეციალისტთა ბრიგადა ვლადიმერ ლეკვეიშვილის, ალექსანდრე მეჟევიძის და გია მაკიევის შემადგენლობით. მეორე ადგილზე გავიდა ევროპის ჩემპიონი იუნიორთა და უფროსთა შორის (გუნდურ ჩათვლაში) ნატო ნასარიძე — 322 ქულა.

ვაჟებში, სადაც უფრო უარესად არის საქმე, უძლიერესი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამეკურსელი ვლადიმერ სვანაძე („შევარდენი“), მწვრთნელი იგორ გრებენიკოვი, — 312 ქულა.

მან 8 ქულით ჩამოიტოვა ბათუმელი თანაგუნდელი — თამაზ ბასილაძე, ამდენივეთი — შეჯიბრების მესამე პრიზიორი, თბილისელი გრიგოლ დოლიძე, რომელიც „მართვეს“ სახელს იცავდა (ბასილაძესა და დოლიძეს შორის დამატებითი სერია ჩატარდა ვერცხლის მედლისთვის). მწვრთნელებს ძალიან მოეწონათ 18 წლის სერგო ბერიძის გამოსვლაც, რომელსაც მხოლოდ ფინალში უმტყუნა ბედმა და პრიზიორთა ჯგუფის მიღმა დარჩა. ვაქთა გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა „შევარდენის“ პირველმა კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ თამაზ ფუტკარაძე, ვლადიმერ სვანაძე და სერგო ბერიძე.

როგორც ხედავთ, პრიზიორთა შორის მხოლოდ თბილისელი და ბათუმელი სპორტსმენები მოხვდნენ. მშვილდოსნობის მასობრიობაზე აღარ ვლაპარაკობთ, მაგრამ მისი ასეთი ვიწრო არეალი მაინც მეტისმეტია. აქ მეტად მნიშვნელოვანია, როგორ იმუშავებენ მშვილდოსნობის ჯგუფები ზუგდიდში, ქუთაისში... ზუგდიდში, როგორც იქნა, გამოიძებნა სპეციალისტი, რათა იქაურ ჯგუფებს უხელმძღვანელოს. როგორც შეჯიბრებაზე გვითხრეს, ეს საქმე ითავა ახალგაზრდა მწვრთნელმა ზვიად ლურწკაიამ.

ცოტა სხვაგვარად არის საქმე ქუთაისში. იქ ორი მწვრთნელი მუშაობს — მიხეილ ჩხეიძე და ივანე გოშხეთელიანი. მეტად მონდომებული ახალგაზრდები არიან. მშვილდიც და ისარიც, როგორც სპორტსახკომის წარმომადგენელმა გვითხრა, არ ენანებათ მათთვის — იქნებ ამ ქალაქში მშვილდოსანთა ძველი ტრადიცია აღდგესო. ერთი ეგ არის, სად გამოიყენონ ის მშვილდ-ისარი, ქუთაისში ვერ გადაწყდა. კოოპერაციული ტექნიკუმის ვიწრო და ნესტიანი დარბაზი, სადაც იმ ნესტის გამო არც იარაღს ეყრება ხეირი, არ გამოდგება საამისოდ. ახლა ბაზის აშენებას აპირებენ, მაგრამ ვინ იცის, ეს როდის იქნება. მეტად საწყენია, რომ ბევრ ბავშვს მწვრთნელები უარით ისტუმრებენ, სავარჯიშო ადგილი არ გვყოფნისო...

**გიორგი პავლიაშვილი.**

## 2 1 3 — ქვარცხლბექი

**ქალები.** 1. ხ. ქვრივიშვილი — 328 ქულა; 2. ნ. ნასარიძე (ორივე — „მართვე“) — 322; 3. ლ. ვერულიძე („შევარდენი“) — 316.

**გუნდური.** 1. „მართვე“; 2. „შევარდენი-1“; 3. ასკ.

**ვაჟები.** 1. ვ. სვანაძე — 304; 2. თ. ბასილაძე (ორივე — „შევარდენი“) — 304; 3. გ. დოლიძე („მართვე“) — 304.

**გუნდური.** 1. „შევარდენი-1“; 2. „მართვე“, 3. ასკ.



სურათებზე: საქართველოს ჩემპიონები გუნდურ პირველობაში. მარცხენა სურათზე, მარცხნიდან: სულიკო თოფურია, ნატო ნასარიძე და ხათუნა ქვრივიშვილი; მარჯვენა სურათზე, მარცხნიდან: თამაზ ფუტკარაძე, ვლადიმერ სვანიძე და სერგო ბერიძე.

ალექსანდრე კოტრიკაშვილის ფოტოები.

# დიეგო მარადონა გადაურჩა...

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ 15 იანვარს ჟენევაში განიხილა დიეგო მარადონას საკითხი. ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან ამ ფეხბურთელის დანაშაულის საქმე: მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის დამთავრების შემდეგ მან თავის თავს უფლება მისცა ეთქვა, რომ მთელი ეს წილისყრა არის მხოლოდ წინასწარ დადგმული სპექტაკლი, სადაც იტალიის გუნდს ყველა პირობას უქმნიან მსოფლიო ჩემპიონობის მოსაპოვებლად. რახან წილისყრას ხელმძღვანელობდა უშუალოდ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია, ეს განცხადება მიჩნეულ იქნა ფეხბურთის უმაღლესი ორგანოს მისამართით გამოთქმულ უშუალო შეურაცხყოფად, ფიფა-ს შეურაცხმყოფელს კი, არსებული წესების შესაბამისად, მკაცრი სასჯელი ელის.

პრესაში გამოითქვა მოსაზრება, რომ არგენტინის ეროვნული ნაკრებისა და იტალიის „ნაპოლის“ საუკეთესო ფეხბურთელს მკაცრი სასჯელი მოელის, შესაძლო იყო, მისთვის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაც კი აეკრძალათ.

მაგრამ დიეგო მარადონა იოლად გადაურჩა: ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეს-შეფმა გვიდო ტონიონიმ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ თავნება ფეხბურთელი დააჯარიმეს 10 მილიონი ლირით (7.700 დოლარი) და საქმეც ამით მოთავდა. დიეგო მარადონა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს.

### ფინალისტებს შორის ლიდეროებს... კამერუნი!

იმ 24 გუნდს შორის, რომელთაც ფეხბურთში წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა მოელით, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის (1986 წ.) შემდგომი პერიოდი ყველაზე დიდი წარმატებით წარმართა... კამერუნის ნაკრებმა! ამ ხნის განმავლობაში მან 40 მატჩი ჩაატარა, 26 მოიგო, 10 ფრედ დაამთავრა და მხოლოდ 4 წააგო! მეორე ადგილზეა სამხრეთ კორეის ნაკრები, მესამეზე — იტალიის ნაკრები. საინტერესოა, რომ წინა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ იტალიელებმა 33 მატჩი ითამაშეს, აქედან 21 მოიგეს, 7 ფრედ დაასრულეს და 5 წააგეს.

### 20 წელიწადი არ მომხდარა

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის (პირველი ლიგა) პირველი წრის დამთავრების შემდეგ თანამდებობიდან არ გაუთავისუფლებიათ ლიგის 18 გუნდის არც ერთი მწვრთნელი. ასეთი რამ კი, როგორც გამოირკვა, ბოლო 20 წლის მანძილზე არ მომხდარა.

### თამაშობს 4 ფინალისტი

2-4 თებერვალს მაიამიში (აშშ) გაიმართება საერთაშორისო ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატის 4 ფინალისტის მონაწილეობით. შეჯიბრებაში ჩაებმებიან ურუგვაის, კოლუმბიის, კოსტა-რიკისა და აშშ-ს ნაკრები გუნდები.

# დარჩა ერთი ეტაპი

**16-15 წლები** მოსწავლეთა სასპარტაკიადო ასაკია და, ბუნებრივია, ამ თაობის სპორტსმენთა ყოველი გამოსვლა საკავშირო სარბიელზე სპეციალისტთა და მთელი საზოგადოებრიობის საგანგებო ყურადღებას იპყრობს: „ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჭაბუკ კალათბურთელთა საკავშირო პირველობის სასტარტო ეტაპზე საქართველოს გუნდმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია და ფინალურ სტადიაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ოქროს ქულით.

ამ დღეებში ვილნიუსში დამთავრდა ფინალური ტურნირის ერთი ნახევარი, რომელშიც რესპუბლიკის წარმომადგენელთა გარდა მონაწილეობდნენ ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვის, უკრაინის (პირველი და მესამე), ყაზახეთისა და რუსეთის ფედერაციის კოლექტივები (უკრაინის მესამე გუნდი, როგორც შარშანდელ საკავშირო პირველობაში გამარჯვებული პირდაპირ დაუშვეს). საქართველოს სპორტსმენთა წინაშე, რომლებსაც გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტად თვლიდნენ საკმაოდ რთული ამოცანა იდგა. მას ვილნიუსში ადგილობრივი (ე. ი. ლიტვის) გუნდის წინააღმდეგობა უნდა დაეძლია, რაც რიგ პრობლემებთან იყო დაკავშირებული თუნდაც იმიტომ, რომ გამარჯვებაზე კანონიერ პრეტენზიას ისიც აცხადებდა.

ორი სასტარტო ბრძოლა ჩვენმა კალათბურთელებმა დამაჯერებლად მოიგეს. ბელორუსიის გუნდი დაამარცხეს ანგარიშით 86:49, შარშანდელი ჩემპიონი — უკრაინის მესამე გუნდი კი 76:67. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა შეხვედრა რუსეთის ფედერაციის ნაკრებთან. იგი საბოლოოდ ჩვენმა კალათბურთელებმა მოიგეს (98:89), ოღონდ დამატებით დროში.

ამის შემდეგ საქართველოს ჭაბუკებს ძნელი ბრძოლა ჰქონდათ ყაზახეთის გუნდთან, მაგრამ აქაც სასურველ შედეგს მიაღწიეს — 69:66. მომდევნო მეტოქე უკრაინის პირველი კოლექტივი იყო. ამ შეხვედრაში წარმატება (მსაჯთა გარკვეული თანადგომით) ჩვენს მეტოქეებს ხვდათ 60:58.

როგორც ველოდით, საქართველოსა და ლიტვის კალათბურთელთა ორთაბრძოლა ამ ეტაპის ცენტრალური მატჩი გახდა, ვინაიდან აქ გამარჯვებული კოლექტივი პირველ ადგილზე გადიოდა. ჩვენმა ჭაბუკებმა პრინციპული მატჩი მონდომებითა და დიდი ალმავლობით ჩაატარეს, რამაც მათ გამარჯვება მოუტანა — 75:73 (ლატვიის ნაკრებს საქართველოს გუნდი არ შეხვედრია, ვინაიდან იგი ადრე ჰყავდა დამარცხებული — 69:55).

საბოლოოდ, ვილნიუსის ტურნირში პირველი ადგილი ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკებმა მოიპოვეს. მეორე ადგილი შეჯიბრების მასპინძლებს ხვდათ, მესამე კი უკრაინის პირველ გუნდს. მაგრამ მრავალეტაპიანი პირველობა ამით არ დამთავრებულა. მარტში, ბელორუსიის ერთ-ერთ რომელიმე ქალაქში, ეს რვა გუნდი კიდევ ერთხელ შეხვდება ერთმანეთს, რათა საბოლოოდ გაირკვეს ქვეყნის ჩემპიონის ვინაობა (აღნიშნული ქულები მესამე ეტაპზე ავტომატურად გადაყვება ყველა კოლექტივს).

ვილნიუსის ტურის დამთავრების შემდეგ ჩვენი ორი კალათბურთელი საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩაირიცხა. ესენი არიან ი. მურაიტოვი და ვ. ოთიურიძე. ამათ გარდა, ნაკრების კანდიდატთა სიაში მოხვდნენ ა. ქლენტი, კ. ბარამიძე და ვ. გოგუა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი გუნდი მთლიანად მიხეილ კეკელიძის სახელობის კალათბურთელთა სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი მერაბ კეკელიძე) აღსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული. კოლექტივის ღირსებას იცავდნენ: შ. დოლიძე, ა. ქლენტი, ა. დავითულიანი, ნ. იაქაშვილი, კ. ბარამიძე, ვ. გოგუა, ზ. მაჩალაძე, ტ. გიგაური, ვ. ოთიურიძე. ი. მურაიტოვი, ვ. იაშვილი (მწვრთნელები — გ. ქილიტაური და მ. ცირეკიძე, გუნდის უფროსი — გ. სვანიძე).

## ფეხბურთის ახალი ამბები

● **თახების** მფლობელთა თასის მატჩი იუგოსლავიის „პარტიზანსა" და რუმინეთის „დინამოს" შორის, იუგოსლაველთა სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო, იტალიის ქალაქ ბოლონიაში ჩატარდება.

● **ცნობილი** იტალიელი ნახევარმცველი ლიონელო მანფრედონია, რომელიც ახლა მშობლიურ „რომას" დაუბრუნდა, ახალი წლის პირველ დღეებში საავადმყოფოში აღმოჩნდა. ქვეყნის პირველობის კალენდარული მატჩის დროს ბოლონიაში მას გულის შეტევა დაემართა.

● **რუმინეთის** ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა მსოფლიო პირველობისათვის მზადების გეგმა, გუნდი 8 საწვრთნელ მატჩს ჩაატარებს. იგი შინ შეხვდება — აშშ-ს (25 მარტი), ჰოლანდიას (25 აპრილი), ბრაზილიას (12 მაისი), ეგვიპტეს (20 მაისი). ჯერ დაუდგენელია უცხოური ტურნეს თარიღები, თუმცა მოწინააღმდეგენი ცნობილია (ალჟირი, ეგვიპტე, ბელგია, შვეიცარია).

● **შოტლანდიელები** 1990 წელს სამ გუნდს შეხვდებიან შინ. ესენია: არგენტინა (28 მარტი), ეგვიპტე (16 მაისი), პოლონეთი (19 მაისი).

● **ჩეხოსლოვაკიის** ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე კოცეკი გადადგა თავისი პოსტიდან. მომავალ კონგრესამდე მას შეცვლის უეფა-ს ვიცე-პრეზიდენტი ვაცლავ ირია.



**ტურინის** „იუვენტუსი" ეძებს გზებს კრიზისიდან თავის დასაღწევად. უკვე გამოცხადდა, რომ სამივე უცხოელი ფეხბურთელი სეზონის ბოლოს დატოვებს გუნდს. იგივე ბედი შეიძლება ეწიოს მწვრთნელ ძოფსაც. ახლა ტურინელები იმედის თვალით შესცქერიან ბრიტანეთს, სადაც ერთბაშად ორ სპეციალისტთან აქვთ მოლაპარაკება. ესენია: დალგლიში („ლივერპული") და ვენეიბლსი („ტოტენჰემი").

● **როგორც იცით**, პორტუგალიის ნაკრებმა წარუმატებლად იასპარეზა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში. ყველაფერი მწვრთნელს დაბრალდა. ახლა გუნდს უხელმძღვანელებს ცნობილი სპეციალისტი არტურ ჟორჟე, რომლის ხელმძღვანელობით „პორტომ" 3 წლის წინ ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო.

● **ბრაზილიელთა** მწვრთნელმა სებასტიანო ლაზარონიმ განაცხადა, რომ იტალიაში გამგზავრებამდე მისი გუნდი კიდევ ერთხელ ეწვევა ევროპას, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. მის მეტოქეთა შორის იქნებიან ავსტრიის, ინგლისისა და რუმინეთის ნაკრები გუნდები, აგრეთვე იტალიისა და ესპანეთის კლუბები.

● **კოსტა-რიკა** პირველად ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. ამასთან დაკავშირებით ყველაფერი კეთდება ნაკრების უკეთ მომზადებისათვის. ეროვნული გუნდის უფროსი მწვრთნელი მარვინ როდ-როგესი ახლა სიტუაციის სრული ბატონ-პატრონია. მისი გეგმის თანახმად ფედერაციამ დაადგინა, რომ ქვეყნის პირველობა ადრე დამთავრდება, რათა ნაკრებმა მოახერხოს ამხანაგური საწვრთნელი თამაშების ჩატარება.

(საქ. ინფ.)

• • •

### ფიდე-ს სამდივნო იუწყება

როგორც ფიდე-ს სამდივნო იუწყება, მსოფლიო ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის (17 წლამდე) 1991 წელს ეკვადორში ჩატარდება, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატს ქალთა შორის 1992 წელს ჩინეთი უმასპინძლებს.

### ყველა ხარჯს დაფარავს

ეგვიპტელი მილიარდელი აჰმედ ელ მუკადემი ფეხბურთის ფანატიკური გულშემატკივარია. მან განაცხადა, რომ უზომოდ კმაყოფილია ეგვიპტის ნაკრების წარმატებით — მსოფლიოს პირველობის ფინალურ ნაწილში გასვლით და მთლიანად კისრულობს მის ყოველგვარ ხარჯს მსოფლიო პირველობის დამთავრებამდე.

### ირლანდიელები მალტაში მოემზადებიან

როგორც ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელთა მწვრთნელმა, ცნობილმა ინგლისელმა სპეციალისტმა ჯეკი ჩარლტონმა ჟურნალისტებს განუცხადა, მან შეადგინა მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების დაწვრილებითი გეგმა. ამ მზადების დასკვნით ნაწილს ირლანდიის ნაკრები მალტაში ჩაატარებს.

უცხოეთის კალათბურთის ამბები

# დაწინაურდა „ლეიკერსი"

**კალათბურთის** ეროვნული ასოციაციის (ნბა) ჩემპიონატში ასეთი სატურნირო ვითარებაა: ატლანტიის ოკეანის დივიზიონი: „ნიუ-იორკ ნიკერბოკერსი" (18 გამარჯვება, 7 დამარცხება), „ბოსტონ სელტიქსი" (16, 11), „ფილადელფია 76" (14, 12), „ვაშინგტონ ბულიტსი" (12, 15,), „ნიუ-ჯერსი ნეთსი" (8, 18,), „მაიამი ჰიტი" (7, 21); ცენტრალური დივიზიონი: „ჩიკაგო ბულსი" (17, 9), „ინდიანა პეიზერსი" (17, 9), „დეტროიტ პისტონსი" (17, 10), „ატლანტა ჰოუქსი" (16, 10), „მილუოკი ბაქსი" (13, 13), „კლივლენდ კავალიერსი" (10, 15), „ორლანდო მაჯიკი" (9, 19). შუა დასავლეთის დივიზიონი: „სან-ანტონიო სპურსი" (19, 6), „დენვერ ნაგითსი" (18, 9), „უტაჰ ჯაზი" (17, 9), „დალას მავერიქსი" (14, 12), „ჰიუსტონ როკეთსი" (12, 16), „მინესოტა" (6, 21), „ჩარლტონ ჰორნესი" (4, 20), წყნარი ოკეანის დივიზიონი: „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" (20,6), „პორტლენდ თრეილ ბლეიზი" (18, 9), „სიეტლ სუპერსონიქსი" (13, 12), „ფენიქს სანზი" (11, 12), „გოლდენ სტეიტ უორიუორზი" (10, 15), „ლოს-ანჯელეს კლიპერსი" (9, 15), „საკრამენტო კინგზი" (6, 20).

როგორც ხედავთ, ამ მონაკვეთზე საუკეთესო შედეგი აქვს „ლოს-ანჯელეს ლეიკერსს", რაც დიდი კალათბურთიდან სახელგანთქმულ ქერიმ აბდული ჯაბარის წასვლის შემდეგ ერთგვარ მოულოდნელობადაც შეიძლება აღვიქვათ და, ალბათ, იმაზე მეტყველებს, რომ „ლეიკერსი" უჯაბაროდ მაინც მრისხანე ძალად რჩება. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო „ლეიკერსის" გამარჯვება ბოსტონში მუდმივ კონკურენტთან „ბოსტონ სელტიქსთან" შეხვედრაში — 119:110. წარმატებით აიღო სტარტი „სან-ანტონიო სპურსმა", რომელსაც ჯერჯერობით მეორე შედეგი აქვს. სტარტზე სოლიდურად გამოიყურება „ნიუ-იორკ ნიკერბოკერსი", მას მესამე შედეგი აქვს. ტრადიციულად მწვავე კონკურენციაა ცენტრალურ დივიზიონში, სადაც საკმაოდ თანაბარი ძალის გუნდებია თავმოყრილი, ლიდერებს ცოტათი მილუოკი და კლი ვლენდი ჩამორჩნენ. რაც შეეხება დებიუტანტის „ორლანდო მაჯიკის" ბოლო ადგილს ეს, ალბათ, გასაკვირი არავისთვის არაა. შეიძლება ვილაპარაკოთ იმის თაობაზე, რომ ჯერჯერობით თავის შესაძლებლობაზე სუსტად თამაშობს „ჰიუსტონ როკეტსი" იგი შუა დასავლეთის დივიზიონის აუტსაიდერთა შორისაა და მასზე უფრო უარესი შედეგი კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონატის დებიუტანტებს მინესოტას და ჩარლოტეს აქვს. ზედიზედ ექვსი გამარჯვება მოიპოვა შარუნას მარჩიულონისას გუნდმა „გოლდენ სტეიტმა" და თავი დააღწია წყნარი ოკეანის დივიზიონის აუტსაიდერის არასასიამოვნო როლს.

ნბა-ს ჩემპიონატის შემდეგი ტურის შედეგები: ვაშინგტონი — სან-ანტონიო — 97:107; ორლანდო — ინდიანა — 101:106, კლივლენდი — დეტროიტი — 82:99, „მინესოტა" — „ჰიუსტონი" — 108:91; დალასი — ატლანტა — 114:101, საკრამენტო — ბოსტონი — 112:115. სიეტლი — ფილადელფია — 110:206, ატლანტა — კლივლენდი —115:104.

ამ ტურის მატჩებიდან ყურადღებას იპყრობს ორი შედეგი. მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ვაშინგტონში ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა სან-ანტონიომ. გამოცდილმა ჰიუსტონმა მოულოდნელი მარცხი იწვნია დებიუტანტ მინესოტასგან.

# ანგოლის ნაკრების გამარჯვება

**ანგოლის** დედაქალაქ ლუანდაში დასრულდა აფრიკის ქვეყნების მორიგი ჩემპიონატი კალათბურთში, რომელმაც წარმატება მოუტანა მასპინძლებს.

ფინალურ მატჩში მასპინძელთა მოწინააღმდეგე იყო ეგვიპტის ნაკრები. ამ შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია და მას დაესწრო 12 000 მაყურებელი. მათ შორის ქვეყნის პრეზიდენტი ხოსე ედუარდო დოს სანტოსი.

მასპინძლებმა შეხვედრის პირველი წუთებიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და უკვე ტაიმის შემდეგ, როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი" აღნიშნავს, მათი გამარჯვება არავის აეჭვებდა. ანგოლის ნაკრების უპირატესობამ 21 ქულას მიაღწია — 44:23. მეორე ტაიმში მასპინძლებს არ გაჭირვებიათ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება და საკმაოდ სოლიდური ანგარიშით გაიმარჯვეს — 99:62.

მათთან ერთად არგენტინის 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება ვიცე-ჩემპიონმა, ეგვიპტის ნაკრებმა მოიპოვა.

პუბლიკაციები მოამზადა
**მერაბ კალანდაძემ.**

# იანვარ-თებერვალი — საერთაშორისო კალენდარში

საერთაშორისო შეჯიბრებების კალენდარში იანვარი და თებერვალი, ტრადიციულად, სპორტის ზამთრის სახეობებს აქვს დათმობილი, თუმცა აქა-იქ ზაფხულის სახეობათა ტურნირებსაც შევხვდებით. აი, როგორ გამოიყურება ამ ორი თვის კალენდარი, რომელშიც, ცხადია, აქცენტი გადატანილია დიდ ტურნირებზე — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, თასებზე, მნიშვნელოვან რეგიონალურ შეჯიბრებებზე.

**19-21 იანვარი.** ევროპის ჩემპიონატი ციგურაობაში ქალთა და ვაჟთა შორის. ჰერენვენი (ნიდერლანდები).

**20-28 იანვარი.** ევროპის ჩემპიონატი ბობსლეიში. იგლსი (ავსტრია).

**30 იანვარი — 4 თებერვალი.** ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში (ლენინგრადი).

**2-4 თებერვალი.** ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირი ჰოკეიში. (სტოკჰოლმი).

**8-11 თებერვალი.** მსოფლიო ჩემპიონატი ბობსლეიში. სანკტ-მორიცი (შვეიცარია).

**4 თებერვალი.** მსოფლიო ჩემპიონატი ველოკროსში. ბილბაო (ესპანეთი).

**6-11 თებერვალი.** ციგაობაში მსოფლიო თასის ფინალი. ვიტენბერგი (გფრ).

**10-11 თებერვალი.** ფრენბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირი. შეჯიბრების ადგილი ზუსტდება.

**10-11 თებერვალი.** მსოფლიო ჩემპიონატი ციგურაობაში ქალთა შორის. კალგარი (კანადა).

**12-18 თებერვალი.** მსოფლიო ჩემპიონატი ციგაობაში. ლეიკ-პლესიდი (აშშ).

**12-23 თებერვალი.** მსოფლიო ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში ვაჟთა შორის. (პაკისტანი).

**17-18 თებერვალი.** მსოფლიო ჩემპიონატი ციგურაობაში ვაჟთა შორის. ინსბრუკი (ავსტრია).

**18-24 თებერვალი.** მსოფლიოს თასი კრივში. (ჰავანა).

**18-25 თებერვალი.** მსოფლიო ჩემპიონატი ბიატლონში ქალთა და ვაჟთა შორის. (მინსკი).

**23-25 თებერვალი.** ცურვაში მსოფლიო თასის ფინალი (25-მეტრიან აუზში). ლესტერი (დიდი ბრიტანეთი).

**23-25 თებერვალი.** მსოფლიო ჩემპიონატი თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში. ვიკერსუნდი (ნორვეგია).

**24-25 თებერვალი.** მსოფლიო ჩემპიონატი ციგურაობაში (სპრინტერული მრავალჭიდი), ტრომსიო (ნორვეგია).

**28 თებერვალი — 10 მარტი,** მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. (ჩეხოსლოვაკია).

## „სპორტპროგნოზი"

**მე-2 ტირაჟის შედეგები**
**(12-14 იანვარი)**

1-2, 2-2, 3-1, 4-2, 5-X, 6-1, 7-X, 8-1, 9-1, 10-2, 11-X, 12-X, 13-2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორის მოადგილე
შ. შიშინაძე

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მარაბე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66425

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08709